საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 235

04 04 2017წ.

ქ. თბილისი

,,პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის'' დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის №119 ბრძანების პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტით დამტკიცებული "მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" ფარგლებში მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის, დუალური სწავლების მხარდაჭერისა და პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შეფასებისა და მონიტორინგის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, 2017 წლის 27 მარტის №288249 და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, 2017 წლის 04 აპრილის №320969 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და ,,ნ'' ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის'' დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის №119 ბრძანების პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტით დამტკიცებული ,,მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში, 2017 წლის 04 აპრილიდან, 2017

წლის 21 აპრილის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის, დუალური სწავლების მხარდაჭერის და პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შეფასებისა და მონიტორინგის ექსპერტთა შერჩევის მიზნით.

2. მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ექსპერტის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური ან პროფესიული განათლება;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, მათ შორის, ჩარჩო დოკუმენტების ან მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ან/და განხორციელების გამოცდილება;

გ) კომპიუტერული პროგრამების (Ms.Word, Ms. Excel, Ms.Power Point) კარგად ცოდნა;

დ) ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ე) მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უნარი;

ვ) სასურველია ინგლისური ენის ცოდნა.

3. მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ექსპერტის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

დ) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანება;

ე) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;

ვ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ".

4. მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ექსპერტთა ფუნქციებია:

ა) მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში ჩართული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მეთოდოლოგიური კონსულტაციების გაწევა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებასთან, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებით;

ბ) მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის საჭიროებების განსაზღვრა;

გ) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონსულტირებისა და მხარდაჭერის მიზნით ვიზიტების განხორციელება;

დ) სამუშაო შეხვედრებსა და მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობა;

ე) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მომზადება.

5. მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ექსპერტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 12 ადგილზე,

6. დუალური სწავლების მხარდაჭერის ექსპერტის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური ან პროფესიული განათლება;

ბ) მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით:

ბ.ა.)მევენახეობა-მეღვინეობა;

ბ.ბ.) მეცხოველეობა;

ბ.გ.) მეხილეობა.

გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, მათ შორის, დუალური მიდგომით მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ან/და განხორციელების გამოცდილება;

დ) კომპიუტერული პროგრამების (Ms.Word, Ms. Excel,Ms.Power Point) კარგად ცოდნა;

ე) ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ვ) მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უნარი;

ზ) სასურველია ინგლისური ენის ცოდნა.

7. დუალური სწავლების მხარდაჭერის ექსპერტთა ფუნქციებია:

ა) დუალური მიდგომით განსახორციელებელი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში ჩართული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის და პარტნიორი საწარმოებისათვის მეთოდოლოგიური კონსულტაციების გაწევა დუალური მიდგომით მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებასთან, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებით;

ბ) დუალური მიდგომით მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის საჭიროებების განსაზღვრა;

გ) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და პარტნიორ საწარმოებში კონსულტირებისა და მხარდაჭერის მიზნით ვიზიტების განხორციელება;

დ) სამუშაო შეხვედრებსა და მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობა;

ე) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მომზადება.

8. დუალური სწავლების მხარდაჭერის ექსპერტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 - ადგილზე თითოეული დარგის მიმართულებით: მევენახეობა-მეღვინეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა.

9. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შეფასებისა და მონიტორინგის ექსპერტის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, ფსიქოლოგიაში ან განათლების მეცნიერებებში;

ბ) განათლების კვლევებისა და შეფასებების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება;

გ) სასწავლო პროგრამების განვითარების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება;

დ) კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების გამოცდილება განათლების სფეროში;

ე) კვლევითი ანგარიშების შექმნის გამოცდილება;

ვ) კომპიუტერული პროგრამების (Ms.Word, Ms. Excel,Ms.Power Point) კარგად ცოდნა;

ზ) ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

თ) მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უნარი;

ი) სასურველია ინგლისური ენის ცოდნა.

10. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შეფასებისა და მონიტორინგის ექსპერტის ფუნქციებია:

ა) დანერგვის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის დოკუმენტის გადამუშავება;

ბ) დანერგვის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდების შემუშავება;

გ) დანერგვის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

11. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შეფასებისა და მონიტორინგის ექსპერტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

12. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შეფასებისა და მონიტორინგის ექსპერტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება

ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადით და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 2000 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

13. მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის, დუალური სწავლების მხარდაჭერისა და პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შეფასებისა და მონიტორინგის ექსპერტთა თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა ატვირთონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

14. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

15. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის, www.eqe.ge, მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

16. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6).

დირექტორი თამარ სანიკიძე